

## განმარტებითი ბარათი

### „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“

საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტზე

### ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში შემოვიდა შპს „ინტერ გაზის“ წერილი (კომისიაში რეგისტრაცია №1783/01 24.02.2020) ბუნებრივი გაზის მიწოდების, განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფების დადგენის მოთხოვნით.

იმის გათვალისწინებით, რომ „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჭიროა დაწესებული იქნას საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, 2020 წლის 11 მარტის საჯარო სხდომაზე კომისიამ განიხილა საკითხი 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწესების შესახებ.

კომისიის 2020 წლის 11 მარტის №25/14 გადაწყვეტილების თანახმად, დადგენილების პროექტის შესახებ მოსაზრებების წარმოდგენის ბოლო ვადად განსაზღვრულია 2020 წლის 8 აპრილი, ხოლო დადგენილების გამოცემის ბოლო ვადად - 2020 წლის 21 აგვისტო.

### პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

დადგენილების მიღება არ გამოიწვევს კომისიის ბიუჯეტის ხარჯვითი და საშემოსავლო ნაწილის ცვლილებებს.

### დადგენილების პროექტის განხორციელების ვადები

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2023 წლის პირველ იანვრამდე.

### დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენი

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.